

ინსტიტუტის ისტორია

XX საუკუნის პირველი ათწლეულები თანამედროვე ქართული მეცნიერების საბოლოო ჩამოყალიბების, მისი ნამყვანი დარგების გამოკვეთის ხანაა. ნიშანსვეტად ჩნდება, ამ მხრივ, 1918 წლის 26 იანვარს (8 თებერვალს) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა, სადაც იმთავითვე უმთავრესი კვლევითი მიმართულებები იქნა წარმოდგენილი. და სწორედ აქ, იმავე 1918 წლის ბოლოს, ივანე ჯავახიშვილის წარდგინებით, დაფუძნდა ხელოვნების ისტორიის კათედრა, რომლის ხელმძღვანელობა სამეცნიერო საბჭომ გიორგი ჩუბინაშვილს (1885-1973) ჩააბარა, ლაიფციგსა და პალეს ფსიქოლოგიას, პეტროგრადის უნივერსიტეტში კავკასიოლოგიასა და აღმოსავლეთქრისტიანული ხელოვნების ისტორიას დაუფლებულს. კათედრასთან მაშინვე არსებობდა „ხელოვნებათმეცნიერების კაბინეტიც“ – დასავლური საუნივერსიტეტო ინსტიტუტის ყაიდის სამეცნიერო-სასწავლო ერთეული და სახელოვნებათმცოდნეო კვლევა-ძიების პირველი კერა საქართველოში; შემუშავებული იქნა მისი მუშაობის მრავალწლიანი პროგრამაც. მაგრამ მას არათუ დასრულება, გაშლაც არ ღირსებია – 1926 წელს უნივერსიტეტის საბჭოურმა რეფორმამ გააუქმა ქართველი სწავლულების მიერ ჩამოქნილი სასწავლებლის სტრუქტურა.



გიორგი ჩუბინაშვილი

გ. ჩუბინაშვილი, სხვა მეცნიერებით, იძულებული შეიქნა ეძებნა ადგილი, სადაც შესაძლებელი გახდებოდა პროფესიული საქმიანობა. მისმა მცდელობამ მხოლოდ 15 წლის შემდეგ გამოიღო სასიკეთო შედეგი.

1941 წლის 1 აპრილს ახლადჩამოყალიბებულმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მიიღო გადაწყვეტილება ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

ინსტიტუტის დირექტორად გ. ჩუბინაშვილი დაინიშნა, რომლის სახელსაც ის 1973 წლის აქეთ ატარებდა. ისიც და მისი თანამშრომლებიც ჯერ მეორე მსოფლიო ომის, შემდგომ კი გამუდმებული იდეოლოგიური „ნმენდის“ წლებში ბევრს და თვალნათლივ წარმატებულად იღვწოდნენ. საამისო საფუძველს XIX საუკუნის და XX-ის დასაწყისის არქეოგრაფოსთა და თავად გ. ჩუბინაშვილის მანამდელი ნაშრომები ჰქმნიდა, რომელსაც საიმდროოდ დაწერილი და ნაწილობრივ გამოცემულიც ჰქონდა თავისი ფუძემდებელი შრომების ძირითადი ნაწილი. ამავე ხანებში მიიღო დასრულებუ-

ლი სახე, ეროვნული და მსოფლიო მეცნიერების მიღწევებზე დამყარებულმა, ქართული სახელოვნებათმცოდნეო სკოლის მეთოდმაც.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი (1973-1988 და 1996-2000 წლებში მას აკადემიკოსი, პროფესორი ვახტანგ ბერიძე უძღვებოდა, 1988-1996 წლებში – აკადემიკოსი, პროფესორი ნოდარ ჯანბერიძე, 2001-2006 წლებში – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი თეიმურაზ საყვარელიძე) იმთავითვე გახდა საქართველოში ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევა-ძიების უმთავრესი ცენტრი. მისი მიზანი იყო ქართული ხელოვნებისა და, საზოგადოდ, საქართველოს მხატვრული მემკვიდრეობის (მის მინა-წყალზე შექმნილი თუ აქ შემოტანილი სხვა ერებისა და კულტურების ნარმომადგენლების ნანარმოებთა ჩათვლით) მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისით შესწავლა, მისი მეზობელი ქვეყნებისა თუ მსოფლიო ხელოვნების ერთობლიობაში ნარმოჩენა.



ნიკოლოზ სევეროვი

სხვადასხვა დროის (წინაქრისტიანული, შუასაუკუნოვანი, XIX-XX საუკუნეების) ქართული ხუროთმოძღვრების, სახვით და მცირე ხელოვნებათა ნიმუშებთან ერთად, ინსტიტუტში ისწავლებოდა ანტიკური, სასანური, ბიზანტიური, სომხური, ისლამური, დასავლეთ ევროპული თუ რუსული ხელოვნების ისტორიის საკითხები.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი დაარსების დროიდან მჭიდროდ თანამშრომლობდა ყოფილი სსრკ-ს, ევროპისა თუ აშშ სხვადასხვა სამეცნიერო დანესებულებებთან. საერთაშორისო თანამშრომლობა განსაკუთრებით გაფართოვდა 1970-იანი წლებიდან – 1974-1989 წლებში ინსტიტუტის აქტიური მონაწილეობით გაიმართა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი 6 საერთაშორისო სიმპოზიუმი (1974 – ბერგამო; 1977, 1983, 1989 – თბილისი, 1980 – ბარი, ლენე; 1986 – პავია და ტორბას მონასტერი).

ინსტიტუტის კვლევითი მუშაობის ერთი უმთავრესი მიმართულება შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება, კერძოდ, ტაძართმშენებლობა იყო. დაარსების დღიდან მისი დამფუძნებლები იკვლევდნენ როგორც V-VII, ასევე VIII-IX და X-XII საუკუნის არქიტექტურის ნანარმოებებს, მათ ტიპოლოგიურსა და რეგიონულ ჯგუფებს (გიორგი ჩუბინაშვილი, ვახტანგ ბერიძე, რუსუდან მეფისაშვილი, ლევან რჩეულიშვილი, რენე შმერლინგი, ნიკოლოზ სევეროვი, ნიკოლოზ ჩუბინაშვილი, ვახტანგ ცინცაძე), რაც მომდევნო თაობის მკვლევარებმაც გააგრძელეს (ინა გომელაური, მალაქია დვალი, ვახტანგ დოლიძე, თამაზ სანიკიძე, თეიმურაზ საყვარელიძე). 1940-იანი წლების ბოლოდან მნიშვნელოვან თემად შემოდის XIII-XIV საუკუნის ეკლესიათა არქიტექტურა (ვ. ბერიძე, ნ. ანდლულაძე, ი. გომელაური, თ. სანიკიძე), ხოლო 1960-იან წლებში კი – გვიანი შუა საუკუნეების სატაძრო ნაგებობებიც (ვ. ბერიძე).



რენე შმერლინგი

რაოდენობით ნაკლები, მაგრამ საფუძვლიანი გამოკვლევები დაინერა საერო არქიტექტურის (ვ. ბერიძე, ლ. რჩეულიშვილი, ვ. ცინცაძე) თუ ხალხური ბინათმშენებლობის (ვ. ბერიძე, ლ. რჩეულიშვილი, ვ. ცინცაძე, ვ. დოლიძე), ასევე ე. წ. მცირე არქიტექტურული ფორმების (კანკელები, სტელები) შესახებაც (რ. შმერლინგი, ნ. ჩუბინაშვილი).

1970-იანი წლების ბოლოდან მოდის არქიტექტურის ისტორიკოსთა ახალი თაობა, რომელიც ზემოხსენებულ თემატიკასთან ერთად (ქეთევან აბაშიძე, გიორგი მარსაგიშვილი, ლალი ანდრონიკაშვილი, ბესიკ მაცაბერიძე, დავით ცხადაძე, გიორგი ჭილაშვილი) საგანგებოდ ამუშავებს ე. წ. „გარდამავალი ხანის“ და კუთხოვრივი სკოლების თავისებურებათა საკითხებს (ირინე ელიზბარაშვილი, დიმიტრი თუმანიშვილი, დავით ხოშტარია, გიორგი ბაგრატიონი, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი); დაისვა ისეთი პრობლემებიც, როგორცაა, მაგალითად ლიტურგიისა და არქიტექტურის მიმართება. თუ „არქიტექტურული ასლი“ ახდა სიმბოლიკა ქართულ შუასაუკუნოვან

ხუროთმოძღვრებაში (ნ. ჩუბინაშვილი, ი. ელიზბარაშვილი, დ. თუმანიშვილი, დ. ხოშტარია, ქ. აბაშიძე, ნ. ვაჩეიშვილი).

1950-იანი წლებიდან კვლევის საგნად იქცა XIX საუკუნის (ვახტანგ ბერიძე, ლევან რჩეულიშვილი, გიორგი ბერიძე, თამაზ გერსამია), ისევე როგორც საბჭოთა ხანის არქიტექტურა (ვახტანგ ბერიძე, რუსუდან მეფისაშვილი, ინა გომელაური, ნოდარ ჯანბერიძე, სიმონ კინწურაშვილი, ნინო ასათიანი).

შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებასთან ერთად ჯეროვანი ადგილი ჰქონდა მიჩენილი ინსტიტუტის გეგმებში კედლის მხატვრობასაც.

პირველ ათწლეულებში უფრო მეტი ყურადღება დაეთმო X-XIII საუკუნის მოხატულობებს (თინათინ ვირსალაძე, რენე შმერლინგი, ნათელა ალადაშვილი, გაიანე ალიბეგაშვილი, ანელი ვოლსკაია, ეკატერინე პრივალოვა, 1970-80-იანი წლებიდან – მარიამ დიდებულიძე, ასმათ ოქროპირიძე, ზაზა სხირტლაძე, ანა კლდიაშვილი, მარინე ყენია, ქეთევან მიქელაძე, მარინე ბულია, გიორგი ლეჟავა). შემდგომ გამოიკვეთა ინტერესი პალეოლოგოსთა ხანისა და გვიანი შუა საუკუნეების ნიმუშებისადმი (ლეონიდე შერვაშიძე, ინგა ლორთქიფანიძე, ჟუზა ხუსკივაძე, ჯილდა იოსებიძე, მარინე ვაჩნაძე, ფლერ დევდარიანი, ირინე მამაიაშვილი, მარინე ჭელიძე, ანა კლდიაშვილი, ქეთევან მიქელაძე, მზია ჯანჯალია, ნანა ალექსიძე).

თანადროულად „კლასიკურ“ მოხატულობათა შესწავლისას მეტი ადგილი დაეთმო იკონოგრაფიულსა და შინაარსობრივ პრობლემებს (თ. ვირსალაძე, ე. პრივალოვა, მ. დიდებულიძე, ა. ოქროპირიძე, ზ. სხირტლაძე, მ. ბულია, მ. ყენია).

იკვლევდნენ ინსტიტუტში შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის მორთულობას (რენე შმერლინგი), საეკლესიო (გაიანე ალიბეგაშვილი, ლეონიდე შერვაშიძე, ფლერ დევდარიანი, გურამ ჟღენტი, ნანა კუპრაშვილი) და საერო (გაიანე ალიბეგაშვილი, იუზა ხუსკივაძე) მინიატურას, ჯერჯერობით შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი ხატწერა, თუმცა გამოკვლევების მთელი რიგი მასზეც მოიპოვება (გაიანე ალიბეგაშვილი, ნინო ჭიჭინაძე, ლეილა ხუსკივაძე).

შუა საუკუნოვანი მქანდაკებლობის ძირითადი ისტორიული საფეხურები გ. ჩუბინაშვილს პქონდა დადგენილი, უმთავრესად V-VII საუკუნის ეკლესიების რელიეფებისა და IX-XVIII საუკუნის ჭედურობის მიხედვით. მის მიერ მონიშნული განვითარების სურათის შევსებას და გამდიდრებას მიეძღვნა ადრექრისტიანულია თუ VIII-XI საუკუნის სტელეებისა და ნაგებობათა მამკობი კვეთილი გამოსახულებების შესახებ დაწერილი არაერთი შრომა (ნათელა ალადაშვილი, გაიანე ალიბეგაშვილი, ანელი ვოლსკაია, კიტი მაჩაბელი, ლევან რჩეულიშვილი, ნიკოლოზ ჩუბინაშვილი, ლელა შანიძე, 1980-იანი წლებიდან – თამარ ხუნდაძე, 1990 წლიდან ნინო იამანიძე). გვაქვს რამდენიმე ნაშრომი გვიანანტიკური (მარინე მიზანდარი), ადრექრისტიანული (ლ. შერვაშიძე) თუ XII საუკუნის მოზაიკების შესახებ (გ. ალიბეგაშვილი, თ. ვირსალაძე, ლ. ხუსკივაძე).

ქართული ოქრომჭედლობა ცალკე დარგადაც ისწავლება – ქრონოლოგიურ ეტაპებად (XIII საუკუნის – თეიმურაზ საყვარელიძე, რუსუდან ყენია, XVI-XVII საუკუნის – თეიმურაზ საყვარელიძე, ლეილა ხუსკივაძე), თუ რეგიონულად (სვანური სკოლა – რუსუდან ყენია). საკვლევ საგნად იქცა შუა საუკუნეების „მცირე ხელოვნებათა“ სხვა შტოებიც: გლიპტიკა, დროშები (სარა ბარნაველი), ხეზე კვეთილობა (ნიკოლოზ ჩუბინაშვილი), მინანქარი (ლეილა ხუსკივაძე), კერამიკა (ზაქარია მაისურაძე), მხატვრული ქსოვილები და ნაქარგობა (ვახტანგ ბერიძე, მზისთვალა კეცხოველი).

ამჟამად ჯერ ვერ მოხერხდა წინაქრისტიანული ხელოვნების მთლიანი ისტორიის წარმოდგენა. მიუხედავად ამისა, გამოქვეყნებულია წარმართობის ხანის არქიტექტურის ზოგადი მიმოხილვა (გ. ჩუბინაშვილი), წიგნები და წერილები ხუროთმოძღვრების (თამაზ სანიკიძე, კახა ხიმშიაშვილი), ბრინჯაოს ხანისა თუ ანტიკური ხანის პლასტიკის (ნინო გომელაური, მარინე თაბუკაშვილი, მარინე მიზანდარი), გვიანანტიკური კორეფტიკის შესახებ (კიტი მაჩაბელი).

ძველი დროისა და შუა საუკუნეების ხელოვნების მკვლევართაგან მრავალს XIX და XX საუკუნის მხატვრობასა, გრაფიკასა, სცენოგრაფიასა, ქანდაკებასა თუ დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაზეც უწერია (გ. ჩუბინაშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, თ. ვირსალაძე,



თინათინ ვირსალაძე



ვახტანგ ბერიძე

რ. შმერლინგი, ლ. რჩეულიშვილი, ვ. ბერიძე, ზ. მაისურაძე, ლ. შერვაშიძე, ნ. ალადაშვილი, გ. ალიბეგაშვილი, ა. ვოლსკაია, რ. ყენია, ე. პრივალოვა, კ. მაჩაბელი, ი. ლორთქიფანიძე, ა. კლდიაშვილი). სხვებისთვის ეს კვლევა-ძიების უმთავრესი ასპარეზი გახდა – მათგან პირველნი იყვნენ მერი კარბელაშვილი (ნიგნის და დაზგური გრაფიკა, დაზგური და მონუმენტური მხატვრობა) და ლელა შანიძე (ქანდაკება, გრაფიკა). მომდევნო თაობათა ხელოვნებათმცოდნენი იკვლევდნენ XX საუკუნის ფერწერის, გრაფიკისა და სკულპტურის თვალსაჩინო ოსტატების შემოქმედებასა თუ ეპოქისმიერ მოვლენებს (გიორგი ხოშტარია, მარინე მაისურაძე, დალი ლებანიძე, მარინე მექმარიაშვილი, ნანა მირცხულავა, სოფიო იოსელიანი, ლიანა ანთელავა, სამსონ ლეჟავა, მაია ციციშვილი, მარიამ გაჩეჩილაძე, ქეთევან კინწურაშვილი, ნინო ლალანიძე, კარლო კაჭარავა), თეატრის მხატვრობას (ქეთევან კინწურა-

შვილი, ელენე თუშანიშვილი, მარიანა ოკლეი). გამოყენებით-დეკორატიულ ხელოვნებას (მარინე მაისურაძე, ნანა ყიფიანი), ცალკე თემებად გამოიკვეთა XIX საუკუნის მხატვრობა (გიორგი მასხარაშვილი, გიორგი ხოშტარია, მაია ციციშვილი,) და ნ. ფიროსმანაშვილი (გიორგი ხოშტარია).

გარდა ცალკეული გამოკვლევებისა ინსტიტუტში მომზადდა და ქართულად და სხვა ენებზე გამოიცა განმაზოგადებელი შრომები ქართულ არქიტექტურასა (ვ. ბერიძე, რ. მეფისაშვილი და ვ. ცინცაძე, ნ. ჯანბერიძე) თუ ქართულ ხელოვნებაზე საზოგადოდ (რ. მეფისაშვილი და ვ. ცინცაძე, ვ. ბერიძე, ა. ვოლსკაია, გ. ალიბეგაშვილი, ლ. ხუსკივაძე).

ინსტიტუტის თანამშრომლები დაარსების დღიდან ეხმაურებოდნენ ქვეყნის მხატვრულ სიახლეებს, მონაწილეობდნენ არქიტექტურა და მხატვართა კავშირების მუშაობაში, არაერთხელ გამოქომაგებიან კიდევ იმ ხელოვანთ თუ ხელოვანთა ჯგუფებს, ვისაც შესაძლებელი იყო უსიამოვნება შეხვედროდა საბჭოელი „იდეოლოგების“ მხრიდან (გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი, ნ. ჩუბინაშვილი, ლ. რჩეულიშვილი, ვ. ბერიძე, ვ. ცინცაძე, რ. მეფისაშვილი, ს. კინწურაშვილი, ნ. ჯანბერიძე – 1974-1981 მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, ნ. ალადაშვილი, გ. ალიბეგაშვილი, ა. ვოლსკაია, რ. ყენია, გ. მასხარაშვილი, მ. კარბელაშვილი, ე. პრივალოვა, ლ. შანიძე, ი. ლორთქიფანიძე, ლ. ხუსკივაძე, თ. სანიკიძე, ნ. ასათიანი, თ. გერსამია, გ. ბერიძე, დ. ლებანიძე, ლ. ანთელავა, ს. ლეჟავა, ქ. კინწურაშვილი, ნ. ყიფიანი, დ. ხოშტარია, თ. ხუნდაძე, კ. კაჭარავა).

ცალკე მიმართულებად დაისახა ადრიდანვე სამეცნიერო-პოპულარული გამოცემების – გზამკვლევების, ბუკლეტების, ხუროთმოძღვრულ ძეგლთა, სახვითი ხელოვნების ნიმუშთა თუ ცალკეულ მხატვართა ალბომების მომზადება (გ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერ-

იძე, რ. შმერლინგი, ვ. დოლიძე, თ. ბარნაველი, ლ. რჩეულიშვილი, რ. შმერლინგი, თ. ვირსალაძე, გ. ალიბეგაშვილი, ნ. ალადაშვილი, რ. ყენია, მ. კარბელაშვილი, ე. პრივალოვა, ნ. ჯანბერიძე, ს. კინწურაშვილი, კ. მაჩაბელი, ი. ლორთქიფანიძე, ლ. ხუსკივაძე, თ. სანიკიძე, ს. იოსელიანი, მ. ციციშვილი, მ. გაჩეჩილაძე, ნ. ლალანიძე, ი. ელიზბარაშვილი, ნ. ვაჩიშვილი).

1971 წელს ინსტიტუტში შეიქმნა „ძეგლთა ნუსხის განყოფილება“ (1986 წლამდე მას ვახტანგ დოლიძე, შემდგომ კი თამაზ დვალი ხელმძღვანელობდნენ), რომელმაც 1990 წელს გამოსცა კიდევ ძეგლთა აღწერილობის V, 2004-ში კი II ტომები. 1991 წლიდან ამ განყოფილების საფუძველზე შედგა ქართული ხუროთმოძღვრების მიკროფიშების ჯგუფი, რომელმაც აახენის ტექნიკური უმაღლესი სკოლის თანამშრომელ გუნდოლფ ბრუხაუსთან ერთად პოლანდიაში დასაბეჭდად 8 ტომი გაამზადა.

ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობის განუყოფელი ნაწილი იყო ნახაზების არქივი (მცველები სხვადასხვა დროს – რუსუდან მეფისაშვილი, ვახტანგ ყაველაშვილი, მარინე ხატიაშვილი) და ფოტოთეკა (მცველები – ბარბარე ვანნაძე-აღნიაშვილი, შემდგომ – რუსუდან ფიფია); 1997 წლიდან გაერთიანებული არქივები (მცველი – გურამ ჟღენტი) და სამეცნიერო ბიბლიოთეკა (გამგეები – ნატალია ელიავა, ნინო ერისთავი, ნინო მაღალაშვილი, რუსუდან მაჩაიძე). 1980-იან წლებში ინსტიტუტს შეემატა გამოთვლითი ტექნიკის ჯგუფიც (ხელმძღვანელები – თეიმურაზ დევიშვილი, ნოდარ მომცემლიძე).

ქართველი ხელოვნების ისტორიკოსები მუშაობისას მუდამ იძველებდნენ სხვა ქვეყნების ხელოვნებას, გამოუციათ ისეთი ნაშრომებიც, რომელნიც ქართული ხუროთმოძღვრების (გ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე, რ. მეფისაშვილი), მხატვრობის (გ. ალიბეგაშვილი, მ. დიდებულიძე, ე. პრივალოვა, ე. ხუსკივაძე) თუ ქანდაკების (ნ. ალადაშვილი, ლ. ხუსკივაძე) ახლო თუ შორეული მეზობლების მხატვრულ შემოქმედებასთან სხვაობა-ნათესაობის წარმოჩენას ემსახურება. ინსტიტუტის თანამშრომლებს შესწავლილი აქვთ სომხური ხუროთმოძღვრება (გ. ჩუბინაშვილი), საქართველოში თუ სხვაგან დაცული ანტიკური გლიპტიკის (ს. ბარნაველი), ბიზანტიური, ირანული, სირიული. შუასაუკუნოვანი და რენესანსული, დასავლეთ-ევროპული ხელოვნების ნიმუშები (კ. მაჩაბელი, ე. პრივალოვა, ლ. ხუსკივაძე, ე. ხუსკივაძე), საქართველოში მოღვაწე რუსი (გ. მასხარაშვილი) თუ ევროპელი (ნინო ჭოლოშვილი) მხატვრების ნამუშევრები.

ინსტიტუტის თანამშრომლები ყოველთვის მონაწილეობდნენ ძეგლთადაცვით საქმიანობაში – ამუშავებდნენ სარესტავრაციო პროექტებს (ვ. ცინცაძე – საქართველოს ერთი წამყვან რესტავრატორთაგანი, ლ. რჩეულიშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, მ. დვალი), მეთო-



სარა ბარნაველი



რუსუდან მეფისაშვილი

დურ საკითხებს (გ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე ე. პრივალოვა, ლ. რჩეულიშვილი, ნ. ჩუბინაშვილი), თანამშრომლობდნენ ძეგლთადაცვით უწყებებთან (მ. დვალი, ნ. ალხაზაშვილი, რ. მეფისაშვილი, ე. პრივალოვა, ი. ელიზბარაშვილი, ჯ. იოსებიძე, ნ. კუპრაშვილი), სამეცნიერო მეთოდურ საბჭოსთან (გ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე, ვ. ცინცაძე, რ. მეფისაშვილი, ლ. რჩეულიშვილი, მ. დვალი, თ. ვირსალაძე, ნ. ალადაშვილი, გ. ალიბეგაშვილი, ა. ვოლსკაია, ე. პრივალოვა, ი. ლორთქიფანიძე, ლ. ხუსკივაძე, თ. საყვარელიძე, გ. მარსაგიშვილი, ი. ელიზბარაშვილი, დ. თუმანიშვილი, მ. დიდებულიძე, ს. ლეჟავა, ნ. კუპრაშვილი, მ. ჯანჯალია, ნ. ვაჩიშვილი).

უყურადღებოდ არც სამუზეუმო საქმე დარჩენილა - 1970-იან წლებში შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმში მუშაობდნენ: ლ. ხუსკივაძე, თ. საყვარელიძე, ჯ. იოსებიძე, გ. ჟლენტი (მუზეუმის მთავარი მცველი 1982-1993 წლებში) და თ.

სანიკიძე - მუზეუმის დირექტორი 1976-1991 წლებში; 1990-იანი წლები - ე. პრივალოვა, გ. მარსაგიშვილი.

განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი ინსტიტუტის მუშაობაში პედაგოგიურ მოღვაწეობას. არსებობის პირველი წლებიდანვე მას ყოველთვის ჰყავდა ასპირანტები და სტაჟიორები, მაგრამ მისი მუშაკები სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც უძღვებოდნენ ხელოვნების ისტორიის სწავლებას: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში (გ. ჩუბინაშვილი, ლ. ხუსკივაძე, გ. ხოშტარია, დ. თუმანიშვილი, მ. ციციშვილი), შოთა რუსთაველის სახ. თეატრალურ ინსტიტუტში (ვ. ბერიძე, ლ. რჩეულიშვილი) თბილისის ივ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიაში (ვ. ბერიძე, თ. სანიკიძე - იგი რამდენიმე წელი პრორექტორიც იყო, ი. ელიზბარაშვილი); საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (თ. სანიკიძე). დიდწილად ინსტიტუტის თანამშრომლები იყვნენ თბილისის სასულიერო აკადემიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის ქრისტიანული ხელოვნების ფაკულტეტის მასწავლებლები (ზ. სხირტლაძე - კათედრის გამგე, ე. აბაშიძე, დ. თუმანიშვილი, მ. დიდებულიძე, რ. ყენია, ა. ოქროპირიძე, ი. ხუსკივაძე, მ. ყენია, ე. მიქელაძე, მ. ჯანჯალია).

საგანგებო კავშირი ინსტიტუტს მაინც თბილისის სამხატვრო აკადემიასთან დაუმყარდა (მისი პირველი რექტორი 1922-1928 წლებში გ. ჩუბინაშვილი იყო). აქ ადრევე ასწავლიდნენ ვ. ბერიძე, ლ. რჩეულიშვილი (1954-1986 წლებში ხელოვნების ისტორიის და თეორიის კათედრის გამგე), ვ. ცინცაძე, რ. ყენია, 1967 წლიდან კი მას ახალ სპეციალობად ხელოვნებათმცოდნეობა შეემატა და ეს განყოფილება გ. ჩუბინაშვილის, ლ. რჩეულიშვილისა და ვ. ბერიძის შეთანხმებითა და ურთიერთთანადგომით არსებითად ინსტიტუტის სასწავლო ბაზა გახდა. აკადემიის პროფესორები თუ ლექტორები (ზემოთხსენებ-

ულთა გარდა) იყვნენ – ნ. ჯანბერიძე, გ. ალიბეგაშვილი, ნ. ალადაშვილი, კ. მანაბელი, ლ. ხუსკივაძე, ი. ლორთქიფანიძე, ე. ხუსკივაძე, გ. მასხარაშვილი, ე. პრივალოვა, ნ. ანდლულაძე, (პრორექტორი 1983-86 წლებში, კათედრის გამგე 1986-2005 წლებში) გ. ხომტარია, ნ. ასათიანი, ფ. დევდარიანი, დ. ლებანიძე, დ. თუმანიშვილი, ი. ელიზბარაშვილი, ს. იოსელიანი, მ. დიდებულიძე, ა. ოქროპირიძე, ს. ლეჟავა, ა. კლდიაშვილი, მ. ყენია, დ. ხომტარია, ნ. ლალანიძე, თ. ხუნდაძე, ნ. ჭიჭინაძე, ქ. მიქელაძე, მ. ბულია, მ. ჯანჯალია, ნ. კუპრაშვილი, ნ. ვანიშვილი, მ. ხატიაშვილი.

ეკატერინე პრივალოვასა და ჯილდა იოსებიძის თაოსნობით 1975 წლიდან მოყოლებული დამყარდა მჭიდრო თანამშრომლობა მოსკოვის ი. გრაბარის სახელობის სამეცნიერო-სამხატვრო სარესტავრაციო ცენტრთან, კერძოდ კი ამ ცენტრის წამყვან რესტავრატორთან ადოლფ ოვინნიკოვთან. წლების განმავლობაში ინსტიტუტის თანამშრომლები (ჯ. იოსებიძე, გ. ულენტი, ა. ოქროპირიძე, მ. დიდებულიძე) გადიოდნენ ყოველწლიურ სტაჟირებას მოსკოვში, შუა საუკუნეების მხატვრობის ტექნოლოგიის შესასწავლად, ხოლო ზაფხულობით ენყობოდა ფართომასშტაბიანი სამეცნიერო-სამხატვრო ექსპედიციები ქართული მხატვრობის სხვადასხვა ძეგლებზე (აჭის ნმ. გიორგის ეკლესია, ბეთანიის მონასტერი, საბერეების მონასტერი, სვანეთის ეკლესიები და სხვ.), რომელთა მსვლელობაში ისინი ეუფლებოდნენ ასლების შესრულებას, ტექნიკური კვლევის მეთოდებს და, ცხადია, ამ ძეგლების სამეცნიერო კვლევასაც აწარმოებდნენ. ამ ექსპედიციებმა დიდად შეუწყო ხელი ქართული შუა საუკუნეების მხატვრობის (როგორც მონუმენტურის, ასევე ხატუნერის) სამეცნიერო კვლევის გაღრმავებას. გარდა ამისა, ამ ექსპედიციების მსვლელობაში რესტავრაცია ჩაუტარდა მთელ რიგ მნიშვნელოვან ნაწარმოებებს (მაგ. 40 ნამებულისა და ლაზარეს აღდგინების ხატებს მესტიის მუზემიდან და სხვ.), ასევე შესრულდა მოხატულობათა კალკები და ასლი-რეკონსტრუქციები.

წლების განმავლობაში უფროს თაობათა მრავალმა მეცნიერმა დატოვა ეს ქვეყანა, ზოგიერთი თანამშრომელი სხვაგან გადავიდა, ზოგიერთმაც – მათ შორის ფრიად ნიჭიერმა, საკმარისია მხატვარი ავთანდილ ვარაზიც დავასახელოთ, – სულ სხვა გზა იპოვა და ისე წავიდა ინსტიტუტიდან, რომ ხელშესახები არაფერი გაუკეთებია და აქ ვერც იქნა დასახელებული.

იცვლებოდა ინსტიტუტის მუშაობის პირობებიც. ჯერ ერთი, 1987 წლამდე მას საკუთარი ბინა არ ჰქონია და ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის რამდენიმე ოთახში იყო განთავსებული, 1987 წლის ზაფხულში მან, ა. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტთან საზიაროდ მიიღო ადმინისტრაციული შენობა ერეკლე II-ის მოედანზე; ხოლო როდესაც ეს სახლი ისტორიულ პატრონს, საქართველოს მართლმად-



ვახტანგ ცინცაძე



ლევან რჩელიშვილი

დიდებული ეკლესიის საპატრიარქოს დაუბრუნდა, ინსტიტუტს ლ. უკრაინკას ქუჩაზე მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი ნაგებობა გადმოეცა.

თანადროულად საქართველოში დიდი ისტორიული მოვლენებიც ხდებოდა, სასიხარულოც - ეროვნული მოძრაობის აღზევება, დამოუკიდებლობის გამოცხადება და სავალალოც - შეიარაღებული დაპირისპირება თბილისში, საომარი მოქმედებები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, ნივთიერი გაჭირვება და ა. შ. ყველასთან ერთად გადასატანი გასაჭირის გარდა, ინსტიტუტს საკუთარი სატიკვარიც გაუჩნდა - მისი შენობა „თბილისის ომის“ დროს 1991 წლის 29 დეკემბერს გადაიბუგა მთელი ქონებიანად. რაც მთავარია, დაილუპა მისი არქივები, ბიბლიოთეკისა და ხელოვნების ნანარმოებთა კოლექციის ნაწილი, რის გამოც თანამშრომლებსა და გადარჩენილ წიგნად ფონდებს დროებითი ბინის რამდენჯერმე გამოცვლაც მოუხდათ....

მდგომარეობაში არ შეწყვეტილა ინსტიტუტის თანამშრომელთა მეცნიერული, პედაგოგიური თუ საპოპულარიზაციო მუშაობა. ცხადი იყო ისიც, რომ აუცილებელია საკუთარი შემოქმედებითი ამოცანების ახლებურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ვითარებასა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის მიზნებთან შეთანადება. ამის კვალად, ხანგრძლივი საზოგადო განსჯის შედეგად და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს თაოსნობით, 2005 წლის 12 დეკემბერს ინსტიტუტი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრად გარდაიქმნა.

ცენტრის შემადგენლობაში შემოვიდა კიდევ ერთი ცნობილი კულტურული დაწესებულება 1973 წელს გამოჩენილი მხატვრის, სერგო ქობულაძის მონადინეობითა და ღვანლით და გ. ჩუბინაშვილის და თ. ვირსალაძის თანადგომით შექმნილი ს. ქობულაძის სახელობის ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია (დირექტორი ლია ნილოსანი), სადაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტების (ოთარ ქობალიანი, ოთარ ცქვიტინიძე, გიორგი გერსამია, ლევან პაატაშვილი, გენო ჩირაძე, გიორგი ხომასურიძე, საბა დემეტრაშვილი, შალვა ლეჟავა და სხვ.) გადაღებული საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების ათასობით მაღალხარისხიანი ფართო ფორმატის ფერადი სლაიდია თავმოყრილი. საუკეთესო თანამედროვე აპარატურა, სერგო ქობულაძის პროექტით დამზადებული სპეციალური ხარაჩოები და ლაბორატორიის თანამშრომელთა ქეშმარიტი პროფესიონალიზმი უზრუნველყოფდა გადაღებული მასალის უმაღლეს დონეს, რის გამოც არა მარტო 1980-1990-იანი წლების,

არამედ ბოლო წლებში გამოცემული წიგნების, ალბომების, ბუკლეტების, პოსტერების უმეტესობა სწორედ ამ ლაბორატორიის კუთვნილი ფოტოებით არის შექმნილი. საბჭოთა კავშირში მსგავსი ფოტოლაბორატორია თითქმის არსად არსებობდა და დღესაც ერთი გამორჩეული კოლექციაა ქართული კულტურის ძეგლების მაღალპროფესიული გამოსახულებებისა, რომლებსაც იყენებენ არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი სპეციალიტები და მოყვარულებიც.

ცენტრის დირექტორად 2006 წელს დაინიშნა თეიმურაზ ლეჟავა, რომელიც 2009 წლის 29 დეკემბერს მარიამ დიდებულიძემ შეცვალა. ცენტრს ამჟამად 77 თანამშრომელი ჰყავს. ამათგან 5 ადმინისტრაციას შეადგენს (დირექტორის მოადგილე ლევან ზედგინიძე, მთავარი ბუღალტერი იზა ბუკია, კანცელარიის გამგე ვალიდა სიმსივე, ოპერატორი ნანა ლარიბაშვილი), 3 დამხმარე პერსონალი (პროგრამისტი ვლადიმერ ოვსი, მძლოლი ივანე მიგრიაული, დამლაგებელი ნანული კალანდაძე) არქივისა და ბიბლიოთეკის სექტორში 5 ადამიანი მუშაობს (გამგე გურამ ჟღენტი, ბიბლიოთეკარი დალი მუხაძე, უფროსი არქივარიუსი ხათუნა ჭურღულია, ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი ნელი კობახიძე, ოპერატორი აზა ლობჯანიძე, მთარგმნელი (მარინე მასურაძე). 4 – ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფში (ჯგუფის უფროსი თამაზ დვალი, ნუგზარ ანდლულაძე, ფლერ დევდარიანი, რედაქტორ-მთარგმნელი მზია ბაქრაძე) 5 – ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიაში (დირექტორი – შალვა ლეჟავა, ლია წილოსანი, მზია პეტაშვილი, მარინა ფანცხავა, საბა დემეტრაშვილი). ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა დ. თუმანიშვილი, თავმჯდომარის მოადგილე – მ. ჯანჯალია, მდივანი – ქ. მიქელაძე). ცენტრის სამეცნიერო ნაწილი ორი ჯგუფისაგან შედგება – ძველი ხელოვნების განყოფილება (გამგე – დ. ხომტარია, მთავარი მეცნიერ თანამშრომლები – ლ. ხუსკივაძე, კ. მაჩაბელი, თ. სანიკიძე, უფროსი მეცნიერ თანამშრომლები – თ. საყვარელიძე, რ. ყენია, ი. ხუსკივაძე, ნ. ჭიჭინაძე, ი. ელიზბარაშვილი, ა. ოქროპირიძე, მ. ჯანჯალია, მ. ბულია, ა. კლდიაშვილი, ნ. გომელაური, თ. ხუნდაძე, მ. ყენია, მ. სურამელაშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი, მეცნიერ თანამშრომლები – ნ. ალხაზაშვილი, გ. ქანიშვილი, ქ. აბაშიძე, მ. გაბაშვილი, ე. კვაჭატაძე, ე. გედევანიშვილი, თ. ხომტარია, ე. ედიშერაშვილი, გ. პატაშური, ნ. ნაცვლიშვილი, თ. დადიანი, მ. ლილუაშვილი, ნ. ციციშვილი); ახალი ხელოვნების განყოფილება (გამგე – მ. გაჩეჩილაძე, მთავარი მეცნიერ თანამშრომლები – ს. ლეჟავა, გ. ხომტარია, უფროსი მეცნიერ თანამშრომლები – მ. მეძმარიაშვილი, ნ. ყიფიანი, ლ. ანთელავა, თ. გერსამია, ლ. ანდრონიკაშვილი, მ. ციციშვილი, მ. მანია, ნ. მირცხულავა, მ. ჩიხრაძე, მ. ოკლეი, ე. თუმანიშვილი, ც. კილაძე,



ნიკოლოზ ჩუბინაშვილი

მეცნიერ თანამშრომლები - ნ. ჭოლოშვილი, თ. ბელაშვილი, დ. ლებანიძე, თ. ტაბატაძე, ნ. ჭინჭარაული)

ცენტრის მუშაობის ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება კვლავაც უძველესი დროიდან დღევანდლამდე საქართველოში შექმნილი, თუ ქვეყნის სახელმწიფო და კერძო კოლექციაში დაცული სხვადასხვა წარმომავლობის ხელოვნების ნაწარმოებთა მეცნიერული შესწავლაა. ხუროთმოძღვრების, ქანდაკების, კედლისა და დაზგური მხატვრობის, გრაფიკის, გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების ნიმუშების, მათი ჯგუფების, მხატვრულ-ისტორიული მოვლენების და ა. შ. კვლევა ახლაც ქართულ სახელოვნებათმცოდნეო სკოლაში შემუშავებულ მეთოდზე დაყრდნობითა და უახლესი მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, მაქსიმალურად ფართო ხელოვნებისსაისტორიო თუ ინტერდისციპლინარულ კონტექსტში წარიმართება.

1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ საკმაოდ რთულ პერიოდში, როდესაც ძალიან გაძნელდა, როგორც ექსპედიციების მონყობა, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების გაგრძელება ან დამყარება, ინსტიტუტის თანამშრომლებმა საკმაოდ დიდი აქტიურობა გამოიჩინეს, რათა დარგის განვითარება არ შემწყდარიყო.

1990-იან წლებში, როდესაც თურქეთთან ოდესღაც სრულიად შეუვალი საზღვარი გაიხსნა, სწორედ ინსტიტუტის თანამშრომლებმა (ნ. ალადაშვილი, ე. პრივალოვა, ნ. ანდლულაძე, გ. მარსაგიშვილი, ფ. დევდარიანი, ნ. ჯანბერიძე, დ. ხოშტარია, ნ. ვაჩეიშვილი, კ. ხიმშიაშვილი, ნ. ალექსიძე, გ. ბაგრატიონი, მ. დიდებულიძე, ა. ოქროპირიძე, ბ. მაცაბერიძე, დ. ცხადაძე, ქ. მიქელაძე, მ. ჯანჯალია, გ. ლეჟავა, მ. ყენია, ნ. კუპრაშვილი, მ. ხატიაშვილი ზ. სხირტლაძე, ქ. აბაშიძე, თ. ხუნდაძე და სხვ.) ურთულეს პერიოდში მოაწყვეს პირველი სამეცნიერო ექსპედიციები და ძალიან მნიშვნელოვნად წასწიეს წინ ტაო-კლარჯეთის ხელოვნების შესწავლის საქმე. ამის დასტური 1996 წელს მონყობილი



ზაქარია მაისურაძე

რამდენიმე ექსპედიციის საანგარიშო გამოფენა იყო. ძალიან აქტიურად ეხმარებოდა ინსტიტუტს ექსპედიციების მონყობაში, როგორც ფინანსურად, ასევე მის ხელთ არსებული მასალისა და ინფორმაციის მონოდებით გ. ჩუბინაშვილის ყოფილი ასპირანტი პროფ. ვახტანგ ჯობაძე. ერთობლივი კვლევითი ექსპედიციების მონყობაში არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ფრანგი კოლეგების ჟან მიშელ და ნიკოლ ტიერების თანადგომა.

1990-იან წლებში ეკატერინე პრივალოვამ დაამყარა კავშირი ლონდონის უნივერსიტეტის კურტოს ინსტიტუტის სარესტავრაციო დეპარტამენტთან, რამაც, სხვათა შორის, საშუალება მისცა ინსტიტუტის თანამშრომლებს მ. ჯანჯალიასა და ნ. კუპრაშვილს სტაჟირება გაეწყოთ კურტოს ინსტიტუტში კედლის მხატვრობის კონსრვაცია-რესტავრაციის სფეროში.

2000 წლიდან დაიწყო თანამშრომლობა თესალონიკის (საბერძნეთი) ბიზანტიური და პოსტბიზანტიური ძეგლების ევროპულ ცენტრთან, რომლის ფარგლებში ინსტიტუტის თანამშრომლები (ნ. ჭიჭინაძე, მ. დიდებულიძე, ქ. მიქელაძე) მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციებში და საერთო პროექტებში (მათგან ერთი ამჟამადაც მიმდინარეა).

2002 წლიდან ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი (დ. ხომტარია, ნ. ვაჩიშვილი, დ. ცხადაძე, მ. ჯანჯალია, მ. დიდებულიძე) მონაწილეობს მუდმივმოქმედ ექსპედიციაში „ქართველები წმინდა მინაზე“, ცნობილი მეცნიერის თამილა მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით, რომლის მსვლელობაშიც შესწავლილ იქნა წმინდა მინაზე არსებული ქართული კულტურის ძეგლების დიდი ნაწილი და შესრულდა შესაბამისი პუბლიკაციები.

საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისით აღსანიშნავია ფლერენციის მაქს პლანკის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტსა და ბაზელის უნივერსიტეტთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი (2006; 2011) და ამის საფუძველზე მოწყობილი ერთობლივი ექსპედიციები, კონფერენციები, საზაფხულო სკოლა მაგისტრანტებისთვის და სხვა.

1997-2002 წლებში ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი (კ. ხიმშიაშვილი, დ. ხომტარია, ნ. ვაჩიშვილი, მ. დიდებულიძე, ქ. მიქელაძე, მ. ჯანჯალია,), მონაწილეობას იღებდა მსოფლიო ბანკის, ევროსაბჭოსა და საქართველოს მთავრობის ერთობლივ უნიკალურ პროექტში „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა“, რომელსაც ახორციელებდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი. ამ პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა როგორც ძეგლების რესტავრაცია, ასევე მათი კვლევა და დარგის განვითარებასთან დაკავშირებული თეორიული საკითხების დამუშავება.

ინსტიტუტის თანამშრომლები დიდწილად უძღვებოდნენ 2005-2006 წლებში ამავე ფონდის მიერ განხორციელებული „ძველი თბილისის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შემუშავებასაც (ი. ელიზბარაშვილი, მ. მანია, მ. სურამელაშვილი, ლ. ანდრონიკაშვილი, მ. დიდებულიძე, ქ. მიქელაძე); და ძველი თბილისის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შემუშავებაში მიიღეს მონაწილეობა.

ბოლო ოცი წლის მანძილზე ინსტიტუტის (ცენტრის) თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებსა და კონფერენციებში (მაგ., ბიზანტოლოგთა XXI და XXII კონგრესები), ხოლო 2011 საიუბილეო წელს თვით ცენტრმა მოაწყო ორი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენცია.

დიდი ადგილი ეთმობა ცენტრის მოღვაწეობაში კულტურის ნივთიერი ძეგლების დაცვისა და მოვლა-პატრონობის პრობლემებს. ძეგლთადაცვითი საკითხების თეორიულ



ვახტანგ ჯავახიძე

დამუშავებასთან ერთად, ცენტრში ხორციელდება სარესტავრაციო ობიექტების ხელოვნებათმცოდნეობითი დამუშავება (ი. ელიზბარაშვილი, მ. სურამელაშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი, გ. ქანიშვილი, ქ. მიქელაძე, მ. ჯანჯალია, გ. პატაშური), და სარესტავრაციო პროექტების მეთოდური ხელმძღვანელობა, მათი შესრულების შეფასება და მონიტორინგი (ი. ელიზბარაშვილი, მ. სურამელაშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი, მ. ჯანჯალია). ცენტრი მონაწილეობას იღებს უძრავი და მოძრავი ძეგლების გამოვლენასა, პირველად აღრიცხვასა და პასპორტიზაციაში, (კ. მაჩაბელი, ლ. ხუსკივაძე, ე. ხუსკივაძე, ი. ელიზბარაშვილი, მ. სურამელაშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი, მ. მანია, ქ. მიქელაძე, ლ. ანდრონიკაშვილი, გ. პატაშური, დ. ლებანიძე, მ. გაჩეჩილაძე, მ. ციციშვილი, ნ. მირცხულავა, ე. თუმანიშვილი, მ. ოკლეი, თ. ბელაშვილი); ცენტრის თანამშრომლები არიან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს საპატრიარქოს, თბილისის მერიის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭოებისა და კომისიების, საქართველოს ქალაქების დაცვითი ზონების ურბანული განვითარების, ICOMOS ARSAN საერთაშორისო კომიტეტის წევრები (მ. დიდებულიძე, ლ. ხუსკივაძე, ქ. მიქელაძე, მ. ჯანჯალია, ი. ელიზბარაშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი, გ. ქანიშვილი, ქ. აბაშიძე, დ. ლებანიძე, მ. ციციშვილი, თ. გერსამია, ლ. ანდრონიკაშვილი).



ლევან მუსხელიშვილი

თავისი წარმატებული საქმიანობისთვის ცენტრი გეგმაზომიერად აწარმოებს ხელოვნების ნიმუშების ფიქსაციას (აზომვა, ფოტო, ვიდეოგადაღება და სხვა) და ქმნის ხელოვნების ნაწარმოებთა ვიზუალურ გამოსახულებათა არქივებს.

ცენტრის არსებითი ამოცანაა ხელოვნების ნაწარმოებთა და მათ შესახებ დაგროვილი ცოდნის პოპულარიზაცია. ამიტომაც სამეცნიერო გამოკვლევების გამოქვეყნებასთან ერთად ის საზოგადოებას აწვდის განსხვავებული ინტერესებისა და მომზადების მკითხველისათვის გათვლილ წიგნებს, ალბომებს, ბუკლეტებს, სხვა ბეჭდურსა თუ ელექტრონულ გამოცემებს.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცენტრი უმაღლეს სკოლასთან კავშირსაც – მისი მრავალი თანამშრომელი, ამავე დროს, ხელოვნების ისტორიის პროფესორი ან ლექტორია (თბილისის სახ. სამხატვრო აკადემია – ა. კლდიაშვილი, ნ. ლაღანიძე, ლ. ანთელავა, დ. თუმანიშვილი, ი. ელიზბარაშვილი, ს. ლეუავა, მ. მანია, თ. ხუნდაძე, მ. ყენია, მ. ჯანჯალია, თ. ბელაშვილი, თ. ტაბატაძე, ე. კვაჭატაძე, ც. კილაძე, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ – მ. ციციშვილი, გ. ხოშტარია, ნ. ყოლოშვილი; ილიას სახ. უნივერსიტეტი – ნ. ჭიჭინაძე, ე. გედევანიშვილი, ნ. ყიფიანი, მ. ოკლეი, მ. გაბაშვილი; თბილისის სასულიერო აკადემია – დ. თუმანიშვილი, მ. დიდებულიძე, ა. ოქროპირიძე, ქ. აბაშიძე; სოხუმის უნივერსიტეტი

- ა. ოქროპირიძე; წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი - გ. ჭანიშვილი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - თ. სანიკიძე; სკოლის პედაგოგთა გადამზადების ცენტრი - თ. ბელაშვილი); მისი ბიბლიოთეკა და არქივები ემსახურება სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს. 2011 წლის 27 ივნისს იურიდიულად, მემორანდუმის სახით გაფორმდა თანამშრომლობა ცენტრსა და ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სამხატვრო აკადემიას შორის.

ინსტიტუტის, ამჟამად კი ცენტრის პერიოდული გამოცემებია - ქართული ხელოვნება - *Ars Georgica* (1942 წლიდან), ლიტერატურა და ხელოვნება - 1990-2004 წლები (შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტთან ერთად), საქართველოს სიძველენი - 2002 წლიდან.

დაარსების 70-ე წლისთავს ცენტრი ახალმოსახლეობით შეხვდა - 2010 წლის 12 იანვარს საქართველოს ხელისუფლებისა და თბილისის მერიის გადანაცვლებით მას ბინად გიორგი ათონელის №9 შენობა მიეჩინა. ეს დიდად შეუწყობს ხელს მისი საქმიანობის წარმართვასა თუ შემდგომ გაფართოებას, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის წარმატებასა და მის მიღწევათა ქართული თუ საერთაშორისო საზოგადოებისთვის გაზიარებას.

